19

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი 1918 წ. აპრილის, 7—(20) № 68

წელიწადი მეორე

შაბათი 1918 წ. აპრილის, 7—(20) № 68

ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

**რედაქცია.**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნულ უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**კანტორა.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаис, поч. ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

ღრმად მწუხარებაში მყოფნი დედმამა კესარია და თედორე, ძმები ვასილი და გრიგოლი, მამიდები ფეფია და ტასიაი ბიძები კოსტა ამბაკო პეტრე და ილარიონი, ბიძის ცოლები ნატალია და კატო, ბიძაშვილები ნოე ოლია და ვერა, მამიდაშვილები კოლია და მარო, უგულითადესის სიმწუხარით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ თათრებთან ბრძოლაში გმირულად მოჰკლეს პორუჩიკი

**იროდიონ თედორეს ძე ბარკალაია.**

დასაფლავება მოხდება კვირას დღის 4 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე. ვაგზლის ქ. მახლობლად საკ. სახ.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 5 აპრილს გარდაიცვალა ქუთაისის მოქალაქე

**ბესარიონ ქაიხოსროს ძე ჩეჩელაშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მეუღლე მარიამ როსაბას ასული ჩეჩელაშვილისა, დედა თამარი და შვილები ოლღა და მელიტონი. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა მოხდება ოლასკურის სასაფლაოზე კვირას 8 აპრილს ნაშუადღევს 4 საათზე. ძველი ლაგირის ქუჩა საკუთარი სახლი (მოედანთან).

## ქუთაისი 7 (20) აპრილი.

გუშინ ჩვენ ვწერდით რუსის **ეროვნულ სულის ვითარებაზე** და ვამტკიცებდით—რამდენადაც კი ეს მოსახერხებელია სახელდახელო საგაზეთო წერილში, რასაკვირველია,—რომ რუსი—„მუჟიკია“ იგი, თუ „ინტელიგენტი“,—ვერ ეთვისება სხვა ერს და მუდამ სხვის დაჯაბვნასა და დაბრიყვებას ცდილობს...

რომელ ქართველსაც კი უცნოვრია და უაზროვნებია ქართველურად, მამულიშვილურად და „მოდას“ არ აჰყოლია, ან რომელ ქართველ მოღვაწესაც განუზრახავს სამსახური ჩვენი დაბეჩავებული **ხალხისა** მშობლიურ ნიადაგზე—იმას ამის მტკიცება არა სჭირია, ვინაიდგან უკანასკნელი ას ჩვიდმეტი წლის ბატონობა რუსებისა ჩვენში სავსეა მათი გაუტანლობისა და ვერაგ პოლიტიკანობის მაგალითებით. (გადაიკითხეთ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები).

დაწყებული ალექსანდრე პირველიდან და არაკჩეევიდან და გათავებული მილიუკოვ-კერენსკი-ლენინით—საქართველოსათვის სიკეთე არავის მოუსურვებია და, როგორც უკიდურესი მონარქისტები, ისე უკიდურესი სოციალისტები, ყოველთვის კბილებს გვიკრაჭუნებდენ ხოლმე...

მხოლოდ ქართველი სოციალისტები არიან ის გულუბრყვილო არსებანი, რომელთაც სწამთ და სჯერათ რუსის თავდადება ჩვენთვის...

ეს დიდი ბედნიერება იქნებოდა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის, მაგრამ რუსის ხალხი, რუსის ერი ჯერ არ მომწიფე. ბულა ამ სულიერ სიმაღლემდე.

რუსი ან **მონა** უნდა იყოს, ან **ბატონი**—სხვაფრივ ვერ წარმოუდგენია თავისი არსებობა, სხვა გულის თქმა ვერ აღუზრდია მის კულტურასა და ისტორიას რუსის ერში!..

და რომ ეს ასეა ადვილად დარწმუნდებით, თუ გაიხსენებთ—ვიმეორებ—მათ ყოფნას ჩვენში არამც თუ ძველი რეჟიმის დროს, არამედ დღესაც—ამ საერთო „ძმობა-ერთობისა და თავისუფლების“ დღესაც!

ჩვენ გვსურს ყოველივე ბედნიერება რუსის ერისათვის, ვისურვებთ მის წარმატებასაც, მაგრამ ღმერთმა **ნუღარ მოაბრუნოს მათი ბატონობა** ჩვენში, თორემ რაც ამ ასს წელიწადში დაგვაკლეს, ერთს დღეს შეგვისრულებენ და ისე შემუსრავენ საქართველოს, რომ ქვა-ქვაზე აღარ დარჩეს!..

ამას ზეპირად არ ვამბობთ!..

გაიხსენეთ ის გარემოება რომ ლენინის მთავრობამ ქართველები, მთელი საქართველო „რევოლიუციის მტრებად“ გამოაცხადა.

გაიხსენეთ ის მხეცობა, რომელიც ბოლშევიკებმა ქ. პეტროგრადისა და არმიაში ჩაიდინეს ქართველების წინაშე—უამრავი გაჟლიტეს მარტო იმიტომ რომ ქართველები იყვნენ და თქვენ ნათლად წარმოიდგენთ, რა დღე დაგვადგება, თუ ხელ-მეორედ კიდევ ჩამოვიდენ ჩვენში რუსები...

აი, ეს სურათი უნდა წარმოედგინათ ჩვენს სოციალ-დემოკრატებს, როცა ორიენტაციას ირჩევდენ... აი ამ სურათის გათვალისწინების შემდეგ უნდა ეკიჟინებიათ ჩვენთვის,—თუ რადა ვართ მთელის ჩვენის ერსით წინააღმდეგი რუსეთის ხელმეორედ ჩვენში მობრუნებისა...

ეს ხალხის ღალატი კი არ არის როგორც ბრძანებენ ჩვენი ს. დები, არამედ ეს არის სიყვარული და დაცვა ჩვენის ხალხისა...

გავა დრო, ამოიფხვრება ჩვენის ხალხის გულიდან ის შიში და ძრწოლა, რომელიც ჩასთესა ჩვენი ხალხის გულში რუსის მათრახმა და უღირსობამ, და რომელი შიში და ძრწოლაც ჩვენს შინაური სოციალ-დემოკრატებს ჩვენი ხალხის რუსობისადმი „სიყვარული“ ჰგონიათ, გაფრინდებიან ჩვენი ქვეყნისათვის შეუფერებელი პოლიტიკური თუ სოციალური ოფოფები, ხალხი ჩვენი გამოფხიზლდება, დადგება თავის საკუთარ ფეხზე და მაშინ დავინახავ: ვინ არის ჩვენში მართალი და ვინ მრიდე.

მანამდე კი ვუსურვებთ ყველა ერს თავის კერასთან ყოფნას და თავის თავის მოვლას!...

ესევე გვსურს საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის!

ი. ც.

## სამთა მთავრობა.

რომაელი სენაკა ამბობდა: „ჭეშმარიტი რომაელები თავსა ვდებთ რომის მთლიანობისთვის, რომის ძლიერებისთვის, მაგრამ ისტორიის განჩინება, რომს სპობს, ველური ბარბაროსი გერმანელები განათლებულ რომაელებს ამხობენო...“ ამიერ-კავკასიის მესვეურთ, თუ გამბედაობა ეყოთ, იტყვიან „ჩვენ ვეწირებით ამიერ-კავკასიის ერთობას, მაგრამ, რა ვქნათ ერთობა იგი თავის თავად ირღვევაო“. ბედკრული ამიერ-კავკასია იმ თეატრს წარმოადგენს, რომლის მსახიობნიც ყოველ წამ ლოცულობენ, იღწვიან ხალხის გასართობათ ახალ ახალი საშუალების გამოსანახავად.

რევოლუციის განმავლობაში ამიერ-კავკასიამ გამოიცვალა რამდენიმე „მთავრობა“ დაემხო ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი, მას მოჰყვა შერეული სოციალისტური ამიერ-კავკასიის კომისარიატი და შემდეგ ამიერ-კავკასიის მთავრობა...

ჩვენ გვახსოვს ტრაგიკული დღეები ამიერ-კავკასიის კომისარიატისა, როცა მისმა თავმჯდომარემ ამცნო ქვეყანას, რომ მთავრობა ჰაერზეა გამოკიდებული, არავითარი ძალა არ აქვს და ხალხის თანაგრძნობა ეროვნულ საბჭოსკენ მიისწრაფვისო.

ამიერ-კავკასიის მთავრობას, მართლაც არა სცნობდენ არც სომხები და არც თათრები.. მთავრობა იყო, ბრძანებლობდა, დეკრეტებს სცემდა მხოლოდ ქართველებისთვის, რაც სამართლიანად აღნიშნა სეიმის ერთ სხდომაზე ესერმა ი. ლორთქიფანიძემ.

ვინც დოგმებს არ მისდევს და ვისაც ამიერ-კავკასიის შეუძლებელი ერთად შეწევება ფეტიშად არ გადაქცევია, ის დარწმუნდებოდა, რომ ამიერ-კავკასიის **ერთმთავრობა** მოკლებული ყოველგვარ ტრადიციის უაზრობაა, კიდეც რომ შეიქმნას ასეთი ერთ მმართველობა. იგი უდღეური იქნება და ქვიშაზე აგებული. მაგრამ ასე არ მოხდა, ვინაიდან მთავრობის ხელმძღვანელ პარტიისთვის ძვირფასი იყო პარტიული მრწამსი ე. ი. ლოცულობდა იმ კერპზე, რომელი კერპიც პარტიულ პროგრამაში ჰქონდა გამოქანდაკებული...

ცხოვრება თავის გზით წავიდა. სხვადასხვა მოვლენათა გაშლა განვითარებამ კიდევ მეტი დაგვანახვა. თათრები სომხებს დაერიენ, ოსები ქართველებს შემოესიენ და ახლაც იმის შიშში ვართ, რომ ეროვნული შეხეთქება არ გაღრმავდეს. ბაქოს ბოლშევიკები ეწვიენ, რომელთა წინააღმდეგაც იყო შობილი ამიერ-კავკასიის მთავრობა და სომხები ბოლშევიკებს შეუკავშირდენ მაჰმადიანებთან ბრძოლაში... ე. ი. ადგილობრივი ხალხი გარეშე მტერს მიემხრო და თავის მთავრობას ომი გამოუცხადა...

ესეც არაფერი!

საზავო მოლაპარაკება არა სასურველად დაბოლავდა. ამიერ-კავკასიამ ოსმალეთს თავდაცვითი ომი გამოუცხადა, მაჰმადიანები განზე გადგნენ და ნეიტრალობას იცავენ... ე. ი. ხალხის ერთი ნაწილი მთავრობას ამ უზენაეს ორგანოს ეუბნება, რომ მე შენს გადაწყვეტილებას არ მივიღებო.. მაგრამ მთავრობის პარტია მაინც არ იშლის თავისას და კვლავ განაგრძობს ქართან ბრძოლას. უკანასკნელ დროს მთავრობამ თითქოს სახე შეიცვალა ამიერ-კავკასიის სამართავლად შექმნილი სამთა მთავრობა—დირექტორია. თვითშემადგენლობა დირექტორიისა ასეთია: გეგეჭკორი რამიშვილი და კარჩიკიანი. ქართველი და სომეხი. მაჰმადიანი კი გათიშულია.. რას მოასწავებს ეს თუ იმას არა, რომ ამიერ-კავკასიური მთავრობა დროებითი უდღეური კომბინაციები იყო.

შეიძლება სოციალისტებმა **თავი** ინუგეშონ, რომ ახლა მთავრობაში ყველა სოციალისტები გვყავს, არა სოციალისტი თათარი ჩამოგვცილდაო, თათარი კარგახანია ფაქტიურად ჩამოცილებული იყო და თათრული პროვინციები უმთავრობოდ აწყობდა თავის მცხოვრებს, ვერც სომეხი იქნება დიდი ხნით საიმედო, ის ვინც ბაქოში ბოლშევიკს შეუერთდა თათრებთან ბრძოლაში. ყოველთვის იმის ფიქრში უნდა იყოს, რომ ბარგი შეკრული იქონიოს გასაქცევად...

სომეხი საქმეს გააფუჭებს და მოქუსლავს ახალ ავანტიურის საძებრად... დარჩება ქართველი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს ყველაფერზე... ყველასათვის ცხადი უნდა იყოს რომ დირექტორია ამიერ-კავკასიის გამგებლობას ვერ მოახერხებს, რადგან თვით ეს საგამგებლო ერთნული არ არსებობს.

სეიმიც ემლება, რის გამოც დღეის ამას იქით აღარ იარსებებს ამიერ-კავკასიი ერთა ფორმალურად მაინც შემაერთებელი ორგანო. ასეთ გარემოებაში ამიერ-კავკასია ომს უცხადებს ოსმალებს და მოკავშირეთ იწვევს ამიერ-კავკასიის გამყიდველ რუსს, რომელთანაც მაჰმადიანობა სამკვდრო სასიცოცხლო ომს აწარმოებს... რუსის მოყვანა ყველა მაჰმადიანების აზრებით ჩანს, ისეთივე... სომხებს ეს უხარიათ, მაგრამ რას ფიქრობს ქართველი? თუ რუსმა მოსვლა მოახერხა მოსალოდნელია ამიერ-კავკასია უდიდეს ეროვნულ ბრძოლის ასპარეზად გადიქცევა მთიელი და ადერბეიჯანელი ყველა ჩვენ მოგვესევა, როგორც დამღუპველ რუსის მეორეთ მომპატიჟებელთ... ძალად გადამტერებული მეზობლები მოგვსპობენ, რომ გარეშე მტერმა ბოლო არ მოგვიღოს. მაშინ კი ახალი დირექტორია ვერაფერს გახდება. აზრი უკვე ამიერ-კავკასიის ეროვნულ ტერიტორიულ სახელმწიფოებად დაყოფა და გარეშე მოსე წინამორბედი მთავრობები, დირექტორია ფაქტიურად მარტო საქართველოს მთავრობაა.

მერე თუ შესაძლებელი იქმნა სახელმწიფოთა კავშირის დაარსება. უმჯობესია აუცილებლად სათქმელი სიტყვა მანამდე იოქვას სანამ ყოველივე გვარ წამებს და უბედურებას განვიცდიდეთ... დირექტორია უდღეურია უსაფუძვლოა ისე როგორც მისი წინამორბედი მთავრობები, დირექტორია ფაქტიურად მარტო საქართველოს მთავრობაა.

საქართველოს ჰყავს თავის ეროვნული საბჭო, რომელმაც თავის შემადგენლობიდან უნდა გამოჰყოს საქართველოს ეროვნული მთავრობა და მას ჩაბარდება საქართველოს მართვა გამგეობა ქართულ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. ამიერ-კავკასიის ერთ სახელმწიფოების იდეა სამარეში ჩაესვენა... გაუმარჯოს ეროვნულ სახელმწიფოებს... გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას.

ირ—დი.

# ცნობები ბათომის შესახებ და ჩვენი ფრონტი.

ჩვენი რედაქციის მიერ გაგზავნილი კორესპოდენტები, რომელთაც მოიარეს ბათომის მიდამოები და ჩვენი ფრონტი უკვე დაბრუნდენ და გადმოგვცეს საქმის ასეთი ვითარებანი:

**ბათომის ბედი.**

ბათომი უკვე თათრების ხელშია. იმათ მთელი ქალაქი 2 აპრილს ჩაიბარეს. ქალაქში მტერმა შემოიყვანა მხოლოდ 400-500 მდე ასკერი. აჭარლები ქალაქში არ შემოუშვეს, რადგანაც მშვიდობიან მცხოვრებთა შორის არევ დარევას გამოიწვევენ. იმ ჯარის კაცებს, რომლებმაც ბათომიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს, ყველას იარაღი დააყრევინეს, სამხედრო ტყვეებად გამოაცხადეს და ტრაპეზონისაკენ გაგზავნეს. მათ შორის იმყოფებიან ოფიცრები, ექიმები, სანიტრები და სათნოების დებიც. ბათომში ამ ჟამად სიწყნარეა. ვაჭრობა აღადგინეს. მშვიდობიან მცხოვრებთა დარბევა არ მომხდარა. ბათომის კომენდატად დანიშნულია ქიაზიმ ბეი, მის თანაშემწედ კი მუსულმანი ხიმშიაშვილთაგანი.

**ბრძოლა ჩოლოკის მიმართულებით.**

ჩვენი მოწინავე ჯარი ამ ჟამად გამაგრებული არის მდ. ჩოლოკის მიმართულებით. ეს მიდამოები სადგურ ნატანებიდან დაშორებულია 5 6 ვერსის მანძილზე. ჩვენმა ჯარმა მდინარე უკვე გადალახა და ქობულეთელ ბრბოებს დროგამოშვებით ცეცხლში ახვევს. ქობულეთლები აჭარლებთან შეთანხმებით მალულად თავს ესხმიან ჩვენს ჯარებს, მაგრამ მათი თავდასხმა უნაყოფოა.

**გოგუაძის ჯავშნიანი მატარებელი.**

3 აპრილს ნატანებიდან ბათომისაკენ გაემგზავრა გოგუაძის ჯავშნიანი მატარებელი, მაგრამ მდ. ჩოლოკის მახლობლად ქობულეთლებს რკინის გზის ლიანდაგისათვის მალულად ბურღვები აუძვრიათ. ლიანდაგი გაიშალა და ჯავშნიანი მატარებელი გზიდან გადავარდა. მსხვერპლი არ ყოფილა. არც მატარებელი დაზიანებულა. მატარებლის ამოსაღებად მიღებულ იქმნა ზომები.

**ბრძოლა.**

5 აპრილამდის ჩოლოკის მიმართულებით ბრძოლას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. 5 აპრილს საღამოთი გამოჩნდა მტრის უფრო ძლიერი რაზმები. ჩვენმა არტილერიამ მათ ყუმბარები დაუშინა. საღამოთი ნატანებში სამტრედიიდან გაწვეულ იქმნა ღენერალი გაბაშვილი.

**ღენერალი გაბაშვილი ჯარში.**

ღენერალი გაბაშვილი ამ ჟამად ჯარში იმყოფება. სამხედრო მთელი ძალა უფლება მის ხელშია გადასული. ღენერალ გაბაშვილის მეთაურობით სდგება ახალი პოლკები. ამ პოლკებში განსაკუთრებით ძველი ჯარისკაცებია. როგორც გადმოგვცეს ჯარის ნაწილებში არავითარი კომიტეტები აღარ იარსებებს. ღენერალი გაბაშვილი ახლად შეგროვებულ ჯარს ყოველდღე ათვალიერებს და დარიგებას აძლევს. ჯარი მას აღფრთოვანებით ეგებება.

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

**ტრაპიზონში** დარჩენილ ამიერ-კავკასიის სამშვიდობო დელეგაციის შორის არის აგრეთვე **გრიგოლ ვეშაპელი.**

✦ **სპეციალი კორესპონდენტები** რომლებიც ჩვენმა რედაქციამ ბათომის ამბების დაწვრილებით შესატყობათ გაჰგზავნა უკვე დაბრუნდენ და დღეს ჩვენს გაზეთში ისტამბება მათ მიერ მოწოდებული ცნობები.

✦ **უხვი შეწირულება.** ახლად გარდაცვლილმა კომერსანტმა **ელიზბარ ზვიადაძემ** ქართულ კულტურულ დაწესებულებათ დაუტოვა ორმოც ათას მანეთზე მეტი. ელიზბარ ზვიადაძემ თავის ანდერძის ასრულება მიანდო ბბ. **ტრიფონ ჯაფარიძეს** და **ნესტორ კიკაბიძეს.** ანდერძის ოქმს ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ

✦ **ჰელაშის მონასტრის** წინამძღვრად (რაჭაშია) დაინიშნა გელათის მონასტრის მღ. მონაზონი დომენტი, ერის კაცობაში დავით გიორგაძე.

✦ **დაკარგული ჯარის კაცი** ჯარის კაცი აკაკი იაგორისძე მაჭარაშვილი მსახურებდა მე 2 კავკასიის სამუშაო ბატალიონის მე 4 როტაში, აგერ თითქმის ექვსი თვე გადის, რომ მის შესახებ მშობლებმა არაფერი იციან. მშობლები მიმართავენ ვინც კი რამეს გაიგებს აკაკი მაჭარაშვილის თაობაზე, აცნობონ შემდეგი მისამართით: საჩხერე, კორბოულის სასოფლო სამმართველო. იაგორ მაჭარაშვილს.

✦ **ნაძარცვი საქონელი** აღმოაჩნდა რუბანის ქუჩაზე აბესალომ ჭიჭიშვილს.

✦ **ნიკო ნიკოლაძის** ავადმყოფობის შესახებ გუშინ შეცდომაში შეგვიყვანეს. ნიკო ნიკოლაძე კარგად არის.

✦ **მელქისედეკ ლორთქიფანიძეს** აპრილის 5-ს გზაზედ ჯარისკაცმა დაუმიზნა რევოლვერი და ჩამოჰგლიჯა ხანჯალი. ჯარისკაცი დაატუსაღეს.

✦ **ფული მოპარეს** პირველ ქართულ გიმნაზიის მოწაფეს ვასილ ბეთანოვს. ქურდი აბრ. ციციაშვილი შეიპყრეს.

✦ **კიდევ ნაძარცვა საქონელი.** დააპატიმრეს 115 ქვეითა პოლკის ჯარისკაცი ნიკ. უკლება, რომელსაც აღმოაჩნდა დიდძალი ნაძარცვი საქონელი. ჯარისკაცის გასამართლება რევოლუციურ ტრიბუნალს გადაეცა.

# პატარა ფელეტონი

**ბათუმის აღება და მეფის კიკოს ამბები.**

მეფეს ჰყავდა ერთი კიკო, რომელიც მეფეს გაგიჟებით უყვარდა. ერთ მშვენიერ დღეს კიკო ძლიერ ავად გახდა, კარის კაცებმა მაშინვე მეფეს მოახსენეს კიკოს ავად მყოფობა. მეფე მეტად შეწუხდა, კიკოს ავად მყოფობით და განრისხებულმა შესძახა კარის კაცებს: გიბრძანებთ კიკოს კარგად მოუარათ არ მოკვდეს თორემ ვინც კიკოს სიკვდილს პირველად მეტყვის იმას აუცილებლად თავს მოვჭრით. კარზე მომდგარი უბედურება მეფის მრისხანებამ ვერ გააბრუნა, და ჩვენი საყვარალი კიკოც გარდაიცვალა. კიკოს გარდაცვალებამ მეფის კარის კაცებს თავზარი დასცა. ყველა მათგანი სასოწარკვეთილებაში ჩავარდენ, რადგან ვინც პირველად მოახსენებდა მეფეს კიკოს სიკვდილს, იმას თავის მოკვეთა ელოდა.

კიკოს სიკვდილის დაფარვაც შეუძლებელი იყო. შესახებ ამისა მეფის კარის კაცებმა გამართეს ბჭობა. ითათბირეს თუ ვის უნდა ეთქვა მეფისათვის პირველად კიკოს სიკვდილი. მაგრამ საუბედუროთ ვერავინ ვერ აღმოჩნდა ისეთი ვაჟკაცი რომ მეფისათვის მოეხსენებია სამწუხარო ამბავი. კარის კაცების ბჭობას ყურს უგდებდა შორი ახლო მეფის მეწისქვილე. მეწისქვილე მიუახლოვდა კარის კაცებს და შეეკითხა დაღონებული. ბატონებო! რამ შეგხწუხათა რაშია საქმეო; კარის კაცებმაც უამბეს კიკოს გარდაცვალება და თან მეფის ბრძანებაც. ვინც კიკოს სიკვდილს პირველად მეფეს მოახსენებდა იმას თავს წააცლისო. მეწისქვილემ მოახსენა კარის, კაცებს რომ ნუ სწუხართ მე ვიახლები დიდებულ მეფეს და მოვახსენებ კიკოს გადაცვალებასო. თავს თუ მომჭრის თქვენი ჭირი წამიღიაო. მეწისქვილეც ეახლა მეფეს. მისვლის თანავე დაიჩოქა მეწისქვილემ და სალამი მისცა მეფეს. მეფე შეეკითხა, რამ დაგსაჯა ჩემო მეწისქვილე,—თქვენი სიცოცხლე დიდებულო მეფე. და დაიწყო ხელების ფშვნეტა. დიდებულო მეფევ, დავილუპეთ თქვენი კიკო... მეფემ მრისხანეთ გადახედა მეწისქვილეს და გაბრაზებულის ხმით შესძახა: როგორ ჩემი კიკო მოკვდა!.. მეწისქვილემ კიდევ განიმეორა, დიდებულო მეფევ,—თქვენი კიკო... მეფემ ეხლა გაათრებული ზეზე წამოვარდა და უფრო მკაცრის ხმით შესძახა მეწისქვილეს: სთქვი მალე, ჩემი კიკო მოკვდა? მეწისქვილე ადგა, თავი მაღლა ასწია, მეფეს პირდაპირ თვალებში შეხედა და გაბედულის ხმით უთხრა: არ დაგავიწყდეს დიდებულო მეფევ, რომ თქვენ ბრძანეთ პირველად თქვენი კიკოს სიკდილი. დიახ, დიდებულო მეფევ, თქვენი კიკო მოკვდა. მოახსენა მეწისქვილემ და თავი ძირს დახარა დამარცხებულმა მეფემ მეწისქვილეს მორცხვად შეხედა და თავ ჩაღუნული თაეის ოთახისაკენ წაბრძანდა, და მეწისქვილე კი თავ მთელი წისქვილისაკენ გაემართა.

აგრეთვე ნურც თქვენ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ პირველად თქვენ გამოაცხადეთ ბათომის აღება.

პ. მიქელაძე.

# დებულება.

**ამიერ-კავკასიის დაცვის უმაღლეს საბჭოსი.**

1) სეიმის მარტის 31-ის სხდომაზე მიღებულ დადგენილებით არსდება ამიერ-კავკასიის დაცვის უმაღლესი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მთავრობის თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორი, ფინანსთა მინისტრი კარჩიკიანი და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.

2) თავდაცვის უმაღლეს საბჭოს მიზანია ამიერ-კავკასიის მმართველ ორგანოების და კავკასიის ლაშქრის მოქმედების გაერთიანება, რათა, უზრუნველჰყოს ჯარისა მცხოვრებთათვის უკეთესი პირობები და უკუაქციოს ამიერ-კავკასიაში შემოჭრილი მტერი.

3) თავდაცვის უმაღლეს საბჭოს საგანგებო ძალაუფლება ენიჭება და მისი ან საბჭოს ცალკე წევრების განკარგულებანი, რომლებიც საბჭოს სახელით იქმნება გაცემული, უნდა შეასრულოს მთავრობის დაწესებულებებმა, საზოგადო სამმართველოებმა, ორგანიზაციებმა, ყველა დაწესებულებათა მოხელეებმა და ყველა მცხოვრებლებმა.

4) კავკასიის ლაშქრის მთავარ-სარდალი პირდაპირ ემორჩილება თავდაცვის უმაღლეს საბჭოს და თავისუფალი არჩევა საოპერაციო განკარგულების გაცემაში და საბჭოსგან მხოლოდ საერთო სტრატეგიული მიზნების შესახებ იღებს განკარგულებებს.

5) მინისტრები და ცალკე დაწესებულებათა გამგეობანი პირდაპირი თავდაცვის საბჭოს ექვემდებარებიან.

6) თავდაცვის საბჭოს ყოველგვარ განკარგულების და ბრძანების დამრღვევენი მაშინვე იქმნებიან დასჯილნი სასტიკად.

7) თავდაცვის უმაღლესი საბჭო მოქმედებას იწყებს აპრილის 3.

**ამიერ-კავკასიის თავდაცვის უმაღლესი საბჭო.**

# † ვარლამ საყვარელიძე.

ხუთშაბათის გაზეთებში უთუოდ წაიკითხავდით საზარელ ამბავს: ქ. არმავირში, (რომელიც ამჟამად ბოლშევიკების ხელშია), პატრულებს ჯერ დაუხვრეტიათ, შემდეგ კი ხანჯლებით დაუსახიჩრებიათ ქართველი ინტელიგენტები.

წაიკითხავდით აგრეთვე დახოცილთა სიაში ექიმ ვარლამ საყვარელიძის გვარსაც და მის განუყრელ მეგობრის გვარს კოწია წულუკიძეს—ოფიცერს.

ვინ იყო ვარლამ საყვარელიძე?

რომ ჰკითხოთ ყვირილის მცხოვრებთ, მდიდარსა და ღარიბს, დიდსა და პატარას ვარლამზე, დაუფიქრებლათ გეტყვიან: „ის იყო ჩვენი ძვირფასი მეგობარი, ჭირში და ლხინში ჩვენთან მყოფიო."

იგი ყველას უყვარდა, რადგან განუსაზღვრელი იყო მისი გულკეთილობა.

სულით სპეტაკი, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, პატიოსანი, კეთილი—აი მისი სურათი.

მისთვის არ არსებობდა უარი, როდესაც საქმე შეეხებოდა ვისიმე დახმარებას.

იგი ამ ბოლო დროს გუმბრში სამხედრო ექიმად იმყოფებოდა.

ექიმების სამსახურიდან დათხოვნის გამო, ვარლამი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, პეტერბურგს გასწია თავის მეგობართან: მის ჩამოსაყვანათ, რომ იქ არაფერი დაშავებოდა.

დაბრუნებისას ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

დახვრიტეს და შემდეგ ხანჯლით დაასახიჩრეს მისი მეგობარი ოფიცერი კოწია წულუკიძეც.

განუყრელი მეგობრები იყვნენ და ერთად გაათავეს სიცოცხლე.

ბარბაროსებისგან განგმირულ ქართველს სამშობლო პარტიულ კაცად არ იცნობდა, მაგრამ ის ყოველთვის საუკეთესო ქართველი იყო, მუდამ საზოგადოებისთვის სასამსახუროთ გამზადებული, მოკვდა სამშობლოს გარე, სული დალია ველურ წამებით, ბოლშევიკების ხელით, რომელთაც, საუბედუროთ, კვლავ ეპატიჟებიან საქართველოში რუსეთის დემოკრატიის მთლიან ფრონტის აღსადგენად.

შ. ლეკვიაშვილი..

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

**ექიმი ვ. ა. ნემსაძე** დაბრუნდა ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღება, ყოველ დღე; შუადღის 12 საათ. ნაშუადღევის 2 საათ. მისამართი: ჯერჯენობით, ოლდენბურგის ქუჩა, (რესპუბლიკის) გეგელაშვილის სახლი.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.